სკოლის დასახელება	ზუგდიდი #5 საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ნონა ჩალიგავა
ნაწყვეტი წიგნიდან	ენიდ ბლაიტონის „ცნობილი ხუთეული“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი/მეოთხე
მისაღწევი შედეგები	• **ქართ.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა. • **ქართ.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს: პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა. • **ქართ.დაწყ.(I).7.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება. • **ქართ.დაწყ.(I).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება • **ქართ.დაწყ.(I).13.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეები იცნობენ სათავგადასავლო ნაწარმოებებს. იცნობენ ფათერაკებისა და თავგადასავლების მოყვარულ თანატოლ პერსონაჟებს, იცნობენ ცხოველებზე მზრუნველ ლიტერატურულ მცირეწლოვან გმირებს. („სალამურას თავგადასავალი“, „ყაჩაღის ასული რონია“, „ბულერბიელი ბავშვები“, „პეპი გრძელიწინდა“). მოსწავლეებმა იციან ილუსტრაციასა და სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა, პერსონაჟის მახასიათებლების ამოკრება ტექსტიდან, ტექსტში გადმოცემული ამბის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა	1. გრძნობათა ყულაბა(5წთ) 2. პერსონაჟის რუკა; (15წთ) 3. პარალელების გავლება/კავშირების დამყარება. (15წთ)

დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)		
აქტივობა 1 „გრძნობათა ყულაბა“	**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე გრძნობებს, რომლებიც შეიძლება აღეძრას ადამიანს მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისას / მოსმენისას (მაგალითად, აღშფოთება, აღფრთოვანება, სიბრალული, თანაგრძნობა, შიში, მხიარულება) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოირჩიონ ამ ჩამონათვალიდან ის გრძნობა, რომელსაც აღძრავს მის მიერ წაკითხული ეპიზოდი. მასწავლებელი გამომსახველობით კითხულობს ეპიზოდს. მოსწავლეები ასახელებენ გრძნობას და ასაბუთებენ საკუთარ პასუხს. მაგალითად, მე შემეცოდა ეს პერსონაჟი იმიტომ, რომ... / მე გამამხიარულა მისმა საქციელმა, რადგან..	**აქტივობის მიზანი:** • განუვითარდეთ მოსწავლეებს თანაგრძნობისა და თანაგანცდის უნარი. • შეძლონ ხედვის კუთხის შეცვლა. განუვითარდეთ ემოციებისა და გრძნობების გაკონტროლება/მართვის უნარი.

ყველაზე წიგნიერი

აქტივობა 5 „პერსონაჟის რუკა“	**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სქემას „პერსონაჟის რუკა“(სქემას მასწავლებელი შეარჩევს ტექსტის სპეციფიკად გამომდინარე). სქემის შევსებისას მოსწავლეები რამდენჯერმე მიუბრუნდებიან ტექსტს, ეძებენ და აკვირდებიან პერსონაჟის დასახასიათებლად საჭირო მონაკვეთებს. სქემის შევსების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. განიხილავენ მათ და მუშაობენ დაზუსტება-დახვეწაზე რესურსის მოშველიებითა და მსჯელობით. დაზუსტებული/დამუშავებული სქემა დაფაზე იხაზება.  	**აქტივობის მიზანი:** • განუვითარდეს მოსწავლეს პერსონაჟის შესახებ ტექსტში ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიების, გააზრებისა და დასკვნების გამოტანის უნარი. • განუვითარდეს არგუმენტირების უნარი ტექსტიდან სათანადო ადგილის მოშველიებით. • განუვითარდეს პერსონაჟის მიმართ დამოკი

ყველაზე წიგნიერი

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr>
<td></td>
<td>დებულების გამოხატვის უნარი.</td>
</tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>აქტივობა 3
„პარალელების გავლება/ კავშირების დამყარება“</td>
<td>
<table>
<tr>
<td>აქტივობის აღწერა:
მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ კარგი მკითხველები, ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით, ხშირად ავლებენ სხვადასხვა სახის პარალელს საკუთარ ცხოვრებასთან, სხვა ტექსტთან, გარესამყაროსთან. ამ მიზნით, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ დაფიქრდნენ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე (შეკითხვები წინასწარ არის ჩამოწერილი დაფაზე, დიდფორმატიან ქაღალდზე ან ინდივიდუალურად თაბახზე)
პარალელები ჩემს ცხოვრებასთან
• რა საერთო გაქვს პერსონაჟთან?
• რა გახსენდება შენი ცხოვრებიდან?

პარალელები სხვა პერსონაჟთან
• რა გახსენდება სხვა ტექსტებიდან?</td>
<td>აქტივობის მიზანი:
• შეძლონ მოსწავლეებმა ტექსტის სიღრმისეული გააზრება.
• განუვითარდეთ მოსწავლეებს ეფექტური მოდელირების, პარალელების გავლებისა და დამოუკიდებელ მკითხველად ჩამოყალიბების უნარი.</td>
</tr>
</table>
</td>
</tr>
</table>

ყველაზე წიგნიერი

	• რით ჰგავს ეს ტექსტი სხვა წიგნში წაკითხულს? • რით განსხვავდება ამ ტექსტში მოცემული ინფორმაცია სხვაგან წაკითხულისგან? **პარალელები გარესამყაროსთან** • რა გახსენდება რეალური მოვლენებიდან? • რით ჰგავს ამ ტექსტში აღწერილი მოვლენები გარესამყაროს მოვლენებს? • რით განსხვავდება ამ ტექსტში აღწერილი მოვლენები გარესამყაროს მოვლენებისგან?	

ყველაზე წიგნიერი